## განრიგი 2

## პროექტის განხორციელება

### ნაწილი I. განხორციელების ღონისძიებები

### ა. ინსტიტუციონალური ღონისძიებები

1. პროექტის სათანადო კოორდინაციისა და განხორციელების მიზნით, მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ პროექტს ზედამხედველობა გაუწიოს პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭომ, რომლის თავმჯდომარეა საქართველოს პრემიერ მინისტრი. სხვა ფუნქციებთან ერთად, ზემოთ ხსენებული საბჭოს ფუნქციები მოიცავს მათ შორის: (ა) პროექტის შესრულების საერთო ზედამხედველობას; (ბ) სააგენტოებს შორის კოორდინაციას პროექტის მიზნების მისაღწევად; და (გ) პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის მუშაობისთვის წლიური სამუშაო პროგრამების ბიუჯეტებისა და ანგარიშების შემოწმებას და დამტკიცებას.

2. მსესხებელი პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის მეშვეობით უზრუნველყოფს:
(ა) მოამზადოს ბანკისთვის მისაღები საოპერაციო სახელმძღვანელო (საოპერაციო სახელმძღვანელო) აღნიშნულ სახელმძღვანელოში მოცემული უნდა იყოს პროექტის განხორციელებისა და კოორდინაციისათვის საჭირო ძირითადი ინსტრუმენტები, რაც გულისხმობს: (i) შესყიდვებისა და ფინანსური მართვის პროცედურებს; (ii) მონაწილე ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის საინვესტიციო ქვეპროექტების შესარჩევად კრიტერიუმებს; (iii) საინვესტიციო ქვეპროექტების დაფინანსების პირობებს; (iv) შესყიდვებს და საინვესტიციო ქვეპროექტების განხორციელებას; (v) კადრებით დაკომპლექტებას, მართვას და პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის მოვალეობებს; (vi) ESMF – ის განხორციელებას; (vii) RPF-ის განხორციელებას; და (viii) საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმის შექმნას და განხორციელებას;

(ბ) პროექტის განხორციელებას ბანკისთვის მისაღები საოპერაციო სახელმძღვანელოს შესაბამისად; და

(გ) საოპერაციო სახელმძღვანელოს დებულებების ნებისმიერი შემოთავაზებული შესწორების წარდგენას ბანკისთვის წინასწარი თანხმობისათვის და ამის შემდეგ ასეთი შესწორების ამოქმედება, როგორც ეს ბანკთან იყო შეთანხმებული.

### ბ. პროექტის განხორციელების უფლებამოსილების შესახებ ხელშეკრულება

1. პროექტის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს სესხის თანხებთან პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციისათვის უსასყიდლოდ ხელმისაწვდომობა, მსესხებელს წარმოდგენილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროთი და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფასტრუქტურის სამინისტროთი და პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციას შორის გაფორმებული პროექტის განხორციელების უფლებამოსილების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში, ბანკის მიერ დამტკიცებული პირობების თანახმად ("პროექტის განხორციელების უფლებამოსილების შესახებ ხელშეკრულება").

2. მსესხებელი გამოიყენებს პროექტის განხორციელების უფლებამოსილების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში მინიჭებულ უფლებებს და შეასრულებს მის ვალდებულებებს ისე, რომ მსესხებლისა და ბანკის ინტერესები იყოს დაცული და დაფინანსების მიზნები იყოს მიღწეული. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბანკი სხვაგვარად განსაზღვრავს, მსესხებელი არ დაადგენს, შეცვლის, გააუქმებს, უარყოფს, ვერ შეასრულებს ან გააუქმებს პროექტის განხორციელების უფლებამოსილების შესახებ ხელშეკრულებას ან მის ნებისმიერ დებულებას.

## გ. ანტი-კორუფციული სტრატეგია

მსესხებელი უზრუნველყოფს პროექტის განხორციელებას ანტი-კორუფციული სახელმძღვანელოს შესაბამისად.

## დ. გარანტიები

*გარემოსდაცვითი მართვა*

1. მსესხებელი პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის მეშვეობით უზრუნველყოფს შემდეგს:

(ა) (i) ESMF-ის განხორციელება (რომელიც მოიცავს გარემოსდაცვითი, სოციალური და კულტურული რესურსების შემოწმებას, ასევე გარემოსდავით და სოციალურ მიმოხილვასაც მოთხოვნისამებრ) და გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მომზადება მასთან შესაბამისად, ბანკისთვის მისაღები ფორმით და იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროექტი განხორციელდა გარემოსდაცვითი პრაქტიკისა და სტანდარტების შესაბამისად; და (ii) შესყიდვის სამუშაოების ინიცირებამდე, ბანკისათვის მისაღები გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის შემუშავება და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებისათვის მისი გავრცელება; შემდეგ აღნიშნული EMP წარდგენილ უნდა იყოს სამუშაოების შესასყიდად საჭირო სატენდერო დოკუმენტების პროექტებთან ერთად და იყოს სატენდერო დოკუმენტების ნაწილი.

(ბ) ბანკისთვის წინასწარი განხილვისთვის ESMF-სა და EMP-ის ნებისმიერი შემოთავაზებული გადასინჯვის წარდგენა, საჭიროებისამებრ, მათი მოსალოდნელი მიზნების მისაღწევად და ამის შემდგომ ისეთი გადასინჯვის შეტანა დოკუმენტებში, რომელიც ბანკთან იქნება შეთანხმებული.

(გ) მონიტორინგისა და შეფასებისათვის ისეთი პოლიტიკისა და პროცედურების განხორციელება, რომელიც შეესაბამება ბანკისთვის მისაღებ სახელძღვანელოს, ამასთან გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოსა და EMP-ის განხორციელება და მათი მოსალოდნელი მიზნების მიღწევა.

*განსახლება*

2. მსესხებელი პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის საშუალებით უზრუნველყოფს შემდეგს:

(ა) (i) როდესაც პროექტის, ნებისმიერი ქვეპროექტის ან რაიმე ნაწილის განხორციელებას აქვს გავლენა დაზარალებულ პირებზე, ბანკისთვის განსახილველად უნდა წარადგინოს განსახლების სამოქმედო გეგმები, მომზადებული RPF-ში ჩამოყალიბებული პრინციპებისა და პროცედურების შესაბამისად, ასეთი განსახლების გეგმების განხორციელება ბანკისთვის მისაღები ფორმით, მას შემდეგ რაც აღიარებული იქნება დამაკმაყოფილებლად ბანკის მიერ; და (ii) სამუშაოებს

ნებისმიერ სპეციფიურ საპროექტო ადგილებზე, რომელიც გავლენას ახდენს დაზარალებულ პირებზე, არ დაიწყებს სანამ შესაბამისი RAP არ იქნება სრულად განხორციელებული ბანკისთვის მისაღები ფორმით.

(ბ) ბანკისთვის წინასწარ განხსახილველად ნებისმიერი შემოთავაზებული ცვლილების წარდგენა, რაც გათვალისწინებულია RPF-სა და RAP-ში შესატანად, როგორც გარემოება მოითხოვს, რათა მიღწეულ იქნეს მოსალოდნელი მიზნები და ამის შემდგომ ასეთი ცვლილების იმ დოკუმენტში შეტანა, რომელიც შეთანხმებულია ბანკთან.

(გ) RPF-ისა და RAP-ის განხორციელების და მათი მოსალოდნელი მიზნების მიღწევის მონიტორინგისა და შეფასებისათვის ისეთი პოლიტიკისა და პროცედურების განხორციელება, რომელიც შეესაბამება ბანკისთვის მისაღებ სახელმძღვანელოს.

*გასაჩივრების მექანიზმი*

3. მსესხებელი უზრუნველყოფს, რომ პროექტის განმახორციელებელმა ორგანიზაციამ შექმნას და განახორციელოს ადვილად აღსაქმელი გასაჩივრების მექანიზმი პროექტის განხორციელებისას, ბანკისათვის მისაღები ფორმით, პროექტთან დაკავშირებული საჩივრების განსახილველად, როგორც ეს მოცემულია საოპერაციო სახელმძღვანელოში.

საერთაშორისო წყალსადინარები

4. მსესხებელი უზრუნველყოფს, რომ პროექტის განმახორციელებელმა ორგანიზაციამ როდესაც საინვესტიციო ქვეპროექტთან დაკავშირებულ ნებისმიერ საქმიანობა დაკავშირებულია წყალსადინრებთან ასეთ შემთხვევაში (როგორც განსაზღვრულია ბანკის საოპერაციო პოლიტიკის 7.50):

(ა) ასეთი ქმედება უნდა შემოიფარგლოს მიმდინარე სქემებით, პროექტში ჩართული დამატებებით ან ცვლილებებით, რომელიც მოითხოვს რეაბილიტაციას, მშენებლობასა და სხვა ცვლილებებს, რაც: (ა) უარყოფითად არ ცვლის წყლის ნაკადების ხარისხსა და რაოდენობას სხვა მოსაზღვრეებისთვის; და (ii) მასზე უარყოფითად არ იმოქმედებს სხვა მოსაზღვრეებიდან შესაძლო წყლის გამოყენება; და

(ბ) ასეთი ქმედებები უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მცირე დამატებებით ან ცვლილებებით მიმდინარე სქემაში; ის არ ფარავს სამუშაოებსა და ქმედებებს, რომელიც აჭარბებს ძირითად სქემას, ცვლის მის ბუნებას ან ისეა შეცვლილი ან გავრცობილი მისი ფარგლები, რომ იგი წარმოაჩენს ახალ და გასხვავებულ სქემას.

**ნაწილი II. <u>პროექტის მონიტორინგი, ანგარიშგება და შეფასება</u>**

**ა. პროექტის ანგარიშები**

1. მსესხებელმა პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის მეშვეობით უნდა განახორციელოს მონიტორინგი, შეაფასოს პროექტის მიმდინარეობა და უზრუნველყოს პროექტის ანგარიშების მომზადება ზოგადი პირობების 5.08 პუნქტის შესაბამისად და ბანკთან შეთანხმებული ინდიკატორების საფუძველზე. ყოველი ანგარიში უნდა მოიცავდეს ერთ კალენდარული სემესტრს და უნდა იყოს მიწოდებული ბანკისთვის არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში ასეთი პერიოდის დასრულების შემდეგ.

ბ. ფინანსური მართვა, ფინანსური ანგარიშები და აუდიტი

1. მსესხებელი დაიცავს ან უზრუნველყოფს ფინანსური მართვის სისტემის დაცვას ზოგადი პირობების 5.09 ნაწილის დებულებების შესაბამისად.

2. მსესხებელი პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის მეშვეობით ყოველი კალენდარული სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს ორმოცდახუთი (45) დღის ვადაში, მოამზადებს და წარუდგენს ბანკს შუალედური, აუდიტის მიერ შეუმოწმებელი ფინანსურ ანგარიშებს, ბანკისთვის მისაღები ფორმითა და შინაარსით.

3. მსესხებელს პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციის მეშვეობით უნდა ჰქონდეს ფინანსური ანგარიშები აუდიტორულად შემოწმებული ზოგადი პირობების 5.09 (ბ) ნაწილის დებულებების მიხედვით. ამ ფინანსური ანგარიშების ყოველი აუდიტორული შემოწმება უნდა მოიცავდეს მსესხებლის ერთ ფისკალურ წელიწადს. თითოეული პერიოდის ფინანსური მონაცემები უნდა მიეწოდებოდეს ბანკს ამ პერიოდის დასრულებიდან არა უგვიანეს 6 თვის ვადაში.

ნაწილი III. შესყიდვები

ა. ზოგადი

1. **საქონელი, სამუშაოები და და არასაკონსულტაციო მომსახურება.** პროექტისათვის საჭირო ყველა საქონელი, სამუშაოები და არასაკონსულტაციო მომსახურება, რომელთა დაფარვა მოხდება სესხიდან, იქნება შესყიდული შესყიდვების ინსტრუქციების პირველი ნაწილის მოთხოვნების და წინამდებარე ნაწილის დებულებების თანახმად.

2. **საკონსულტაციო მომსახურება.** პროექტისათვის საჭირო ყველა საკონსულტაციო მომსახურება, რომლის დაფარვა მოხდება სესხიდან, იქნება შესყიდული შესყიდვების ინსტრუქციების I და IV ნაწილების მოთხოვნების და წინამდებარე ნაწილის დებულებების თანახმად.

3. **განმარტებები.** წინამდებარე ნაწილში გამოყოფილი ტერმინოლოგია, რომელიც აღწერს შესყიდვების კონკრეტულ მეთოდებს, ან ასოციაციის მიერ კონკრეტული კონტრაქტების შემოწმების მეთოდებს, უკავშირდება შესაბამის მეთოდებს, რომლებიც აღწერილია შესყიდვების სახელმძღვანელოს II და III ნაწილებში, ან საჭიროებისამებრ კონსულტანტების სახელმძღვანელოს II, III, IV და V ნაწილებში.

ბ. საქონლის, სამუშაოების და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის კონკრეტული მეთოდები

1. **საერთაშორისო ტენდერის ჩატარება.** გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც მოცემულია ქვემოთ მე-2 პარაგრაფში, საქონელის, სამუშაოების და არასაკონსულტაციო მომსახურების__შესყიდვა მოხდება საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე.

2. **საქონლის, სამუშაოების და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის სხვა მეთოდები.** გარდა საერთაშორისო ტენდერისა, ქვემოთ მოყვანილ ცხრილში აღწერილია შესყიდვების მეთოდები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია საქონლის, სამუშაოების და არასაკონსულტაციო მომსახურების მიმართ შესყიდვების გეგმით განსაზღვრული კონტრაქტებისთვის:

| | |
|---|---|
| | <u>შესყიდვების მეთოდი</u> |
| (ა) ეროვნული ტენდერი, ქვემოთ მოცემული დამატებითი პირობების გათვალისწინებით: | |
| (i) | „ღია კონკურენტული პირობები: („საჯარო ტენდერი") უნდა იყოს სტანდარტული წესი. ერთი კონვერტის პროცედურა უნდა იქნეს გამოყენებული საქონლის, სამუშაოების და არასაკონსულტაციო მომსახურებებისათვის. |
| (ii) | ტენდერის შესახებ მიწვევა უნდა გამოქვეყნდეს მინიმუმ ერთ საყოველთაო გაზეთში, რომელიც საშუალებას მისცემს მინიმუმ ოცდაათი (30) დღით ადრე მოამზადონ და წარადგინონ წინადადებები. ინფორმაცია გამოქვეყნებული უცხოურ გაზეთებში ასევე უნდა ითვალისწინებდეს მინიმუმ 30 დღეს წინადადებების მოსამზადებლად და წარსადგენად. |
| (iii) | წინადადებების მიღება არ უნდა შეიზღუდოს წინასწარ დარეგისტრირებული ფირმებისათვის. იმ შემთხვევაში თუ საჭიროა რეგისტრაცია, იგი არ უნდა იქნეს უარყოფილი წინადადებების წარმდგენებისთვის იმ მიზეზთა გამო, რომლებიც არ არის დაკავშირებული ფირმების შესაძლებლობასთან და რესურსებთან წარმატებით განახროციელონ კონტრაქტი (მაგ. სავალდებულო წევრობა პროფესიულ ორგანიზაციებში, კლასიფიკაციები, ა.შ.). პოსტკვალიფიკაცია უნდა განხორციელდეს რათა შემოწმდეს, რომ წინადადებს წარმდგენს შეუძლია წარმატებით განახორციელონ კონტრაქტი. |
| (iv) | სახელმწიფო საწარმოებს საქართველოში შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ტენდერში მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მათ შეუძლია წარმოაჩინონ, რომ ფინანსურად დამოუკიდებლები არიან, კომერციული კანონმდებლობით მოქმედებენ და არ არიან მთავრობაზე დამოკიდებული სააგენტო. სახელმწიფო საწარმოებზე ვრცელდება იგივე პირობები რაც სხვა საწარმოებზე. |
| (v) | მომწოდებლებმა უნდა გამოიყენონ შესაბამისი ბანკის სატენდერო დოკუმენტები, პრეკვალიფიკაციის დოკუმენტების ჩათვლით საქონლის, სამუშაოების და სხვა არასკონსულტაციო მომსახურებებისათვის. ამგვარი დოკუმენტები უნდა შეიცავდნენ კონტრაქტის პროექტს და კონტრაქტის პირობებს, კორუფციასთან დაკავშირებული დებულებების, აუდიტის და კონტრაქტის გამარჯვების ჩათვლით, ბანკის მისაღები პირობებით. |
| (vi) | სატენდერო წინადადებები უნდა გაიხსნას საჯაროდ, წარდგენის ბოლო ვადის გავლის შემდეგ დაუყონებლივ. წინადადებების წარმდგენების წარმომადგენლები დაშვებულ უნდა იქნან წინადადების გახსნაზე. |
| (vii) | წინადადების ვადის გადაწევა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ერთხელ არაუმეტეს ოცდაათი (30) დღისა. სხვა გადაწევა არ შეიძლება მოთხოვნილ იქნას ბანკთან წინასწარი შეთანხმების გარეშე. |
| (viii) | წინადადებების შეფასება უნდა განხორციელდეს რაოდენობრივი კრიტერიუმზე დაყრდნობით მონეტარული პირობებით, როგორც განსაზღვრულია სატენდერო დოკუმენტებში, დამსახურების და საშინაო უპირატესობის სისტემა არ გამოიყენება წინადადების შეფასებისას. კონტრაქტები შეიძლება გაფორმდეს ტენდერში მონაწილეებთან, რომლებსაც წარდგენილი აქვთ უმცირესი ღირებულების წინადადება და არანაირი მოლაპარაკება არ უნდა წარიმართოს კონსტრაქტის გაფორმებამდე. |
| (ix) | ხანგრძლივი პერიოდის სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტები (მაგ. თვრამეტზე (18) მეტი თვით) უნდა შეიცავდეს შესაბამისი ფასის რეგულირების პუნქტს. |
| (x) | არ შეიძლება უარყოფილ იქნას წინადადება მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ წინადადების ფასი უფრო მაღალია ვიდრე შეფასებითი ბიუჯეტი ამ შესყიდვისთვის. არ უნდა იქნეს უარყოფილი არც ერთი წინადადება და ახალი წინადადების |

| |
|---|
| შუამდგომლობა ბანკთან წინასწარი თანხმობის გარეშე. |
| (ბ) შოფინგი |
| (გ) პირდაპირი დაკონტრაქტება |

## გ. საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის კონკრეტული მეთოდები

1. **შერჩევა ხარისხისა და ფასის გათვალისწინებით.** გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც ქვევით არის მოყვანილი მე-2 პარაგრაფში, კონსულტანტების მომსახურებების შესყიდვა მოხდება იმ კონტრაქტების ფარგლებში, რომელთა შერჩევა მოხდება ხარისხისა და ფასის გათვალისწინებით.

2. **საკონსულტაციო მომსახურეობის შესყიდვის სხვა მეთოდები.** ქვევით მოყვანილი მეთოდების, ხარისხისა და ფასის გათვალისწინების მეთოდის გარდა, გამოყენება შესაძლებელია საკონსულტაციო მომსახურებასთან მიმართებაში, ისეთი კონტრაქტებისთვის, რომლებიც ასახულია შესყიდვების გეგმაში:

| შესყიდვის მეთოდი |
|---|
| (ა) შესყიდვა ხარისხის გათვალისწინებით |
| (ბ) შერჩევა ფიქსირებული ბიუჯეტის გათვალისწინებით |
| (გ) შერჩევა ნაკლები ხარჯების გათვალისწინებით |
| (დ) შერჩევა კონსულტანტთა პროფესიონალური კვალიფიკაციის გათვალისწინებით |
| (ე) საკონსულტაციო ფირმების შერჩევა ერთ პირთან მოლაპარაკების საფუძველზე |
| (ვ) ინდივიდუალური კონსულტანტებისათვის კონსულტანტის დირექტივების 5.1-5.5 პარაგრაფებში მოცემული პროცედურები |
| (ზ) ინდივიდუალური კონსულტანტების შერჩევა ერთ პირთან მოლაპარაკების საფუძველზე |
| (თ) გაერთიანებული ერების სააგენტოების შერჩევა |

## დ. შესყიდვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების შემოწმება ბანკის მიერ

შესყიდვების გეგმაში დადგენილი იქნება ის კონტრაქტები, რომლებიც საჭიროებენ ბანკის წინასწარ შემოწმებას. ყველა სხვა კონტრაქტი საჭიროებს ბანკის შემდგომ შემოწმებას.

ნაწილი IV. <u>სესხის თანხების გამოთხოვა</u>

ა. ზოგადი.

1. მსესხებელი უფლებამოსილია გამოითხოვოს სესხის ფარგლებში გამოყოფილი რესურსები ზოგადი პირობების მე-II მუხლის, წინამდებარე ნაწილის მოთხოვნებისა და წარდგენილი დამატებითი ინსტრუქციების შესაბამისად (2006 წლის მაისის "მსოფლიო ბანკის პროექტებისათვის ხარჯების ანაზღაურების ინსტრუქციები", რომლის ცვლილებასაც ბანკი პერიოდულად ახორციელებს და რომელიც აღნიშნული ინსტრუქციების თანახმად გამოიყენება წინამდებარე ხელშეკრულებაში), დაშვებული ხარჯების დასაფინანსებლად, როგორც მომდევნო მე-2 პარაგრაფის ცხრილშია მოყვანილი.

2. წინამდებარე ცხრილში ნაჩვენებია სესხის თანხებიდან დასაფინანსებელი ხარჯების კატეგორიები ("კატეგორია"), თითოეული კატეგორიისათვის გამოყოფილი სესხის ოდენობა და თითოეულ კატეგორიაში დასაფინანსებელი დაშვებული ხარჯების პროცენტული შეფარდება:

| კატეგორია | გამოყოფილი სესხის ოდენობა (აშშ დოლარში) | დასაფინანსებელი ხარჯების პროცენტულობა (გადასახადების გათვალისწინებით) |
|---|---|---|
| (1) საქონელი, სამუშაოები, არასაკონსულტაციო მომსახურება, საკონსულტაციო მოსახურება და ტრეინინგი | 59,050,000 | 80% |
| (2) საოპერციო ხარჯები | 800,000 | 80% |
| (3) ერთჯერადი ადმინისტრირების საკომისიო | 150,000 | ზოგადი პირობების 2.07 (ბ) პუნქტის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების 2.03 პუნქტის თანახმად გადასახდელი თანხა |
| (4) საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვრის და საპროცენტო განაკვეთის ქვედა ზღვრის გადასახდელი | 0 | წინამდებარე ხელშეკრულების 2.08 (გ) პარაგრაფით განსაზღვრული თანხის ოდენობა |
| ჯამი | 60,000,000 | |

**ბ. თანხის გამოთხოვის პირობები; თანხის გამოთხოვის პერიოდი**

1. წინამდებარე ნაწილის "ა" პუნქტის დებულებების მიუხედავად, თანხის გამოთხოვა არ მოხდება იმ გადასახდელების მიმართ, რომლებიც განხორციელდა წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც დაშვებულია ხარჯებისათვის თანხის გამოთხოვა საერთო ოდენობით, რომელიც არ აღემატება 12,000,000 აშშ დოლარის ექვივალენტს, განხორციელებულს 2015 წლის 11 აპრილისა ან შემდგომ, პირველი კატეგორიის ფარგლებში განსახორციელებელ ნებადართული ხარჯებისთვის.

**2. დახურვის თარიღია** 31 დეკემბერი, 2019 წელი.